

2012

წლის მიმოხილვა

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა



ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
მარტი 2013

2012

წლის მიმოხილვა

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა

მარტი 2013

სარჩევი

| | |
|--|----|
| წინათქმა | 5 |
| ძირითადი მიზნები..... | 6 |
| მთავარი თემა | 7 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები საქართველოში | 7 |
| საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა..... | 16 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი..... | 16 |
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი | 20 |
| საგარეო სექტორი | 22 |
| სახელმწიფო ბიუჯეტი ეკონომიკური განვითარების კონტექსტში | 33 |
| დასკვნები და რეკომენდაციები | 41 |
| | |
| გრაფიკი 1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2003-2012) www.geostat.ge | 7 |
| გრაფიკი 2 სესხები დარგების მიხედვით www.nbg.ge | 8 |
| გრაფიკი 3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორულ ჭრილში www.geostat.ge | 10 |
| გრაფიკი 4 უკუგება აქტივებზე www.imf.org | 13 |
| გრაფიკი 5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მთლიანი კაპიტალის ფორმირება www.geostat.ge | 14 |
| ფიგურა 6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით www.geostat.ge | 15 |
| გრაფიკი 7 მშპ ზრდა და მშპ დეფლაციორი www.geostat.ge | 18 |
| გრაფიკი 8 მშპ სექტორულ ჭრილში www.geostat.ge | 19 |
| გრაფიკი 9 სამომხმარებლო ფასების ინდექსი www.geostat.ge | 21 |
| გრაფიკი 10 სურსათის ფასების ინდექსი www.fao.org | 21 |
| გრაფიკი 11 ოფიციალური გაცვლითი კურსი www.nbg.ge | 23 |
| გრაფიკი 12 საქონლით ვაჭრობა (მლნ. აშშ დოლარი) www.geostat.ge | 24 |
| გრაფიკი 13 სავაჭრო, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-სთან www.mof.ge | 25 |
| გრაფიკი 14 ექსპორტი და იმპორტი სულ (მლნ. ლარი) (1995-2012) www.geostat.ge | 26 |
| გრაფიკი 15 ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2012 (www.geostat.ge)..... | 27 |
| გრაფიკი 16 ექსპორტი რუსეთში (2000-2012 წწ) (www.geostat.ge)..... | 28 |
| გრაფიკი 17 ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი) www.geostat.ge | 29 |
| გრაფიკი 18 ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2012 www.geostat.ge | 30 |
| გრაფიკი 19 ფულადი გზავნილები (2006-2012წწ) www.nbg.ge | 31 |
| გრაფიკი 20 ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი) www.geostat.ge ; www.nbg.ge | 32 |
| გრაფიკი 21 კონსოლიდირებული ბიუჯეტი www.mof.ge | 33 |
| გრაფიკი 22 ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები www.mof.ge | 34 |
| გრაფიკი 23 გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების განაწილება www.mof.ge | 35 |
| გრაფიკი 24 ბიუჯეტის ფინანსური რესურსი www.mof.ge | 36 |
| გრაფიკი 25 ბიუჯეტის შემოსავლები www.mof.ge | 37 |
| გრაფიკი 26 საბიუჯეტო ხარჯები კატეგორიების მიხედვით www.nbg.ge | 38 |
| გრაფიკი 27 მშპ-სა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტემპები 2003-12 www.geostat.ge | 39 |
| გრაფიკი 28 დასაქმების ტენდენციები საქართველოში www.geostat.ge | 40 |

წინათქმა

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) გთავაზობთ რიგით მეექვსე ანგარიშს „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა - 2012 წლის მიმოხილვა“. ანგარიში მომზადდა EPRC-ის ინსტიტუციონალური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „ღია საზოგადოების ფონდების“ ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკაში 2012 წელს მომხდარი ძირითადი ცვლილებები და საზგასმულია ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები, რომელთა დაძლევა ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებისა და სხვა შესაბამისი ინსტიტუტებისაგან სათანადო ყურადღებას მოითხოვს. ამ ანგარიშში გამოყენებულ მონაცემთა უმეტესობა აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდებიდან.

ეკონომიკის ძირითადი პარამეტრების მიმოხილვის გარდა ანგარიში მოიცავს **მთავარ თემას**, რომელშიც გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები საქართველოში.

ძირითადი მიზნები


- 2012 წელს ეკონომიკური ზრდა წინასწარი მონაცემებით 5.5% იყო;
- 2011 წელს დაფიქსირებული პიკის შემდეგ, 2012 წელს საქართველოში ინფლაცია შემცირდა და მიზნობრივ 6%-ს არ ასცილებია. წლიური ინფლაციის განაკვეთი მხოლოდ 0.6% იყო; საქართველოს ეროვნული ბანკი ეკონომიკის სტიმულირებას რეფინანსირების განაკვეთის კლებით ცდილობს, რომელიც 2013 წლის თებერვალში 4.75%-მდე შეამცირა;
- 2012 წლის მეორე კვარტლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და წლის ბოლოს, 2011 წლის მონაცემთან შედარებით, 252 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები შეადგინა;
- გლობალურ ბაზარზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირებასთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე უარყოფითად იმოქმედა, რაც 2012 წლის არჩევნებით იყო განპირობებული.
- ახალი მთავრობის წინაშე დგას ადგილობრივი კერძო დაფინანსების წყაროების მობილიზების აუცილებლობა, ვინაიდან საგარეო რესურსები შეზღუდულია;
- საქართველოს კომერციული ბანკების მიერ 2012 წელს გაცემული კრედიტების 40%-ს სამომხმარებლო სესხები შეადგენდა; დანარჩენი 60% ისეთ სექტორებზე გაიცა, რომლებიც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას მცირედ ან საერთოდ არ უწყობენ ხელს;
- მსხვილი სასოფლო-სამეურნეო სესხების არარსებობის მთავარი მიზეზი, ვფიქრობთ, უფუნქციო მიწის ბაზარია. სასოფლო-სამეურნეო მიწა იშვიათად გამოიყენება გირაოდ. ამიტომ, მისი კაპიტალიზაცია არ ხდება. ამრიგად, სიმდიდრის დიდი ნაწილი არ არის წარმოებაში გამოყენებული;
- 2012 წელს დაფიქსირდა ფულადი გზავნილების რეკორდული მაჩვენებელი - 1,334.17 ათასი აშშ დოლარი. ამ წელს ფულადი გზავნილები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს 64%-ით აღემატებოდა;
- მთავარ მაკროეკონომიკურ გამოწვევად კვლავ მუდმივად მაღალი - მიმდინარე ანგარიშის და ფისკალური დეფიციტი რჩება. 2012 წლის მონაცემებით, კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 2.9% შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ძირითადი მიზეზი უარყოფითი სავაჭრო ბალანსია, რომელმაც 2012 წელს მშპ-ს 25% შეადგინა;
- 2013 წლის ბიუჯეტი მთავრობის წინასწარჩვენო დაპირებებს ასახავს და აშკარა პრიორიტეტად სოციალურ ხარჯებს განსაზღვრავს, რაც მთლიანი ბიუჯეტის 44%-ს შეადგენს.

მთავარი თემა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები საქართველოში

2012 წლის მეორე კვარტილიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და წლის ბოლოს, 2011 წლის მონაცემთან შედარებით, 252 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები შეადგინა (გრაფიკი 1)¹. ბოლო წლების სტაბილური გაუმჯობესების შემდეგ, ეს კლება სერიოზული შეშფოთების საგანია ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის. ვინაიდან საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი კვლავ განუვითარებელია, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე და კერძოდ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ ადგილობრივი საბანკო სექტორის დაფინანსებით შეუძლებელი იქნებოდა.

გრაფიკი 1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2003-2012) www.geostat.ge




¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. www.geostat.ge

საქართველოს კომერციული ბანკების მიერ 2012 წელს გაცემული კრედიტების 40%-ს სამომხმარებლო სესხები შეადგენდა; დანარჩენი 60% ისეთ სექტორებზე გაიცა, რომლებიც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას მცირედ ან საერთოდ არ უწყობენ ხელს. როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს (გრაფიკი 2), გაცემული კრედიტების თითქმის ნახევარი (48%) ვაჭრობის სექტორზე მოდიოდა, რაც წინა წლების ამავე ტენდენციისგან უმნიშვნელო გადახრის მაჩვენებელია. სოფლის მეურნეობამ, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სექტორად მიიჩნევენ, მთლიანი კრედიტების მხოლოდ 1% მიიღო მაშინ, როდესაც სესხების უდიდესი ნაწილი ისეთი სექტორებისკენ მიედინებოდა, რომლებსაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. ეს განსაკუთრებით ვაჭრობის სექტორს ეხება, რომელიც სამომხმარებლო სესხად შეიძლება ჩაითვალოს. ამასობაში საქართველოში სულ უფრო და უფრო იზრდება პროდუქციის იმპორტი, რაზეც უცხოური კრედიტები იხარჯება, ხოლო ეკონომიკის ის დარგები, რომლებსაც იმპორტის ჩანაცვლების ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს, საბანკო დაფინანსების გარეშე რჩება (როგორც ამას სოფლის მეურნეობის მაგალითზე ვხედავთ).

მსხვილი სასოფლო-სამეურნეო სესხების არარსებობის მთავარი მიზეზი, ვფიქრობთ, უფუნქციო მიწის ბაზარია. სასოფლო-სამეურნეო მიწა იშვიათად გამოიყენება გირაოდ და ამიტომ, მისი კაპიტალიზაცია არ ხდება. ამრიგად, სიმდიდრის დიდი ნაწილი არ არის წარმოებაში გამოყენებული. მეტიც, სესხის დაფარვის ვადა ძალიან შეზღუდულია - ლარებში გაცემული სესხის დაფარვის ხანგრძლივობა საშუალოდ 14.2 თვეა, რაც გრძელვადიან პროექტებსა და ინიციატივებში ინვესტირების შესაძლებლობას ზღუდავს. საქართველოს კვლავ არა აქვს ეკონომიკური ზრდის ადგილობრივი მექანიზმები, რომლებითაც ბანკებიდან კაპიტალის ათვისება და დანაზოგების სტიმულირება და, აქედან გამომდინარე, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ზრდა იქნებოდა შესაძლებელი.

გრაფიკი 2 სესხები დარგების მიხედვით www.nbg.ge



ფულადი გზავნილებისაგან განსხვავებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მგრძობიარეა შოკებისა და ეკონომიკური დაღმასვლის მიმართ. საერთაშორისო ექსპერტების უმეტესობის აზრით, 2008 წელს დასავლეთში დაწყებული გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მძიმე იყო ბოლო 70 წლის განმავლობაში წარმოქმნილ კრიზისებს შორის². მსოფლიო ეკონომიკის ზრდის დანაკარგების თვალსაზრისით, ეს კრიზისი ბევრად უარესი იყო 1980-იანი წლების ლათინური ამერიკის სავალ კრიზისზე, 1990-იანი წლების აზიის ფინანსურ კრიზისზე და იმ ჩავარდნაზე, რომელიც საფინანსო ბაზრებზე 9 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ აღინიშნა. კრიზისის შემდგომი რეცესიის ერთ-ერთი შედეგი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ვარდნა იყო მსოფლიო მასშტაბით. ეკონომიკური ზრდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საგარეო ინვესტიციებისთვის - 2008 წლიდან მსოფლიო ეკონომიკის ზრდის შენელებამ მიმზიდველობა დაუკარგა მნიშვნელოვან ბაზრებს უცხოელი ინვესტორებისთვის და შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შემცირდა.

თუმცა, 2011 წელს, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ანგარიშში გლობალური ტენდენციების გაუმჯობესება აღინიშნა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 17%-ით გაიზარდა³, რამაც UNCTAD-სა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს საფუძველი მისცა ევარაუდათ, რომ ეს გლობალური რეცესიის დასასრულის დასაწყისი იყო. ეს ტენდენცია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27%-იანი მატებით გამოიხატა, წინა, 2010 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით⁴. თუმცა 2012-ში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიო მასშტაბით ისევ შემცირდა - 18%-ით, აღმოსავლეთ ევროპის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ეკონომიკებსა და საქართველოში კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებამ 28% შეადგინა⁵.


2 Onwuamaegbu, U; Sauvant, P (2011), "FDI, the Global Crisis and Sustainable Recovery", *Transnational Corporations*, UNCTAD: 20(1)

3 UNCTAD (2012), *World Investment Report 2012: Towards a New Generation of Investment Policies*;

4 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2013 წლის 19 მარტი. <http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=140&lang=eng>

5 UNCTAD (იანვარი 2013), *Global Investment Trends Monitor*, No.11

გრაფიკი 3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორულ ჭრილში www.geostat.ge



ეკონომიკის ყველა სექტორს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბოლოდროინდელი კლება თანაბრად არ შეხება. მე-3 გრაფიკში ჩანს მნიშვნელოვანი ზრდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორსა (18%) და მრეწველობაში (59%). მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება პოსტ-კრიზისულ პერიოდშიც გაგრძელდა, თუმცა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ამ ნაკადებმა 2012 წელს მხოლოდ 2008 წლის მოცულობის 35% შეადგინა. ყველაზე დიდი ვარდნა სამთო-მომპოვებელ, უძრავი ქონებისა და საკონსულტაციო მომსახურების სექტორებში აღინიშნა: 2011 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით,

2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითოეულ ამ სექტორში 50%-ზე მეტით შემცირდა. 2012 წელს უძრავი ქონების სექტორში შემოსულმა ინვესტიციებმა 2008 წლის მოცულობის მხოლოდ 10% შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მგრძობელობის გათვალისწინებით გლობალური შოკებისა და ეკონომიკური დაღმასვლის მიმართ, ადვილი იქნებოდა გვეთქვა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება გლობალური ტენდენციების შედეგია; რომ, როგორც UNCTAD-ი განმარტავს, განვითარებული ქვეყნები საკუთარ პრობლემებთან გამკლავებაზე არიან ფოკუსირებულები და გარდამავალი ეკონომიკები უბრალოდ სუსტი საგარეო მოთხოვნის შედეგად ზარალდებიან⁶. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოსტ-კრიზისულ პერიოდში,

6 იქვე

ეკონომიკურმა დაღმასვლამ სხვადასხვაგვარად იმოქმედა განვითარებად, განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკებში ჩადებულ ინვესტიციებზე. 2011 წელს ზრდა საყოველთაო იყო, მაგრამ 2012-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება არათანაბრად მოხდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გლობალური შემცირება ძირითადად აშშ-ში და იმ ევროპულ ქვეყნებში აღინიშნა, რომლებსაც ევროზონის კრიზისი ყველაზე მეტად შეეხო. ეს კლება, ერთად აღებული, იმდენად სერიოზული იყო, რომ გლობალური აგრეგირებული მონაცემები შეამცირა. ამასობაში, და პირველად ისტორიაში, განვითარებადი სამყაროს წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებში განვითარებული ქვეყნებისას აღემატებოდა, ხოლო საქართველოს მეზობელ თურქეთში (რომელიც საქართველოში ფულადი გზავნილების ერთ-ერთი მსხვილი წყაროა) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები თანმიმდევრულად მატულობდა⁷.

მართალია, გლობალური ტენდენციების გავლენების უგულებელყოფა არ შეიძლება და არც უნდა უგულებელვყოთ, მაგრამ ზემოქმედების მთავარი ფაქტორები - ადგილობრივი და რეგიონული ეფექტები - გაუთვალისწინებელი რჩება. ათი წლის წინ, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აღნიშნავდა, რომ მიუხედავად მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, საქართველოსა და კავკასიის რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიმცირე არასახარბიელო საინვესტიციო კლიმატის მაჩვენებელი იყო, რაც სტრუქტურული რეფორმები ნაკლებობით იყო გამოწვეული⁸. განსაკუთრებული შემოფოტების საგანი რეგიონში არსებული ხისტი საგადასახადო სისტემები, ყოვლისმომცველი კორუფცია, გადამეტებული სახელმწიფო ჩარევა, რეგულირების განუვითარებელი ბაზა და სუსტი იურიდიული სტრუქტურები იყო. თუმცა, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის „ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსის“ მიხედვით, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმით შთაბეჭედად წარმატებებს მიაღწია⁹. მართალია, შემდგომი ინსტიტუციური განვითარებით საქართველო კიდევ უფრო მეტ სარგებელს მიიღებს, მაგრამ 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ.

მრავალი ემპირიული ანალიზით დასტურდება, რომ (ზოგადად¹⁰) ისეთი ინსტიტუციური ფაქტორები, როგორებიც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა ისეთ სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც პოლიტიკური რისკისა და საინვესტიციო გადანყვევტილებების ურთიერთდამოკიდებულებაზეა ფოკუსირებული¹¹. ბოლო ათი წლის განმავლობაში, აღმოსავლეთ

7 იქვე

8 Campos, N; Kinoshita, Y (2003), "Why Does FDI Go Where it Goes? New Evidence from the Transition Economies", *IMF Working Paper*, No.228; Shiells, C (2003), "FDI and the Investment Climate in the CIS Countries", *IMF Policy Discussion Paper*, No.5

9 The World Bank; IFC (2013), *Doing Business 2013: Smarter Regulations for Small and Medium-Size Enterprises*, Washington, DC: World Bank Group.

10 Blonigen, B; Piger, J (2011), "Determinants of Foreign Direct Investment", *NBER Working Paper*, No.16704

11 მაგალითად, Haksoo, K (2010), "Political Stability and Foreign Direct Investment", *International Journal of Economics and Finance*, 2(3); Busse, M; Hefeker, C (2007), "Political Risk, Institutions and Foreign Direct Investment", *European Journal of Political Economy*, 23(2); Carmignani, F (2003), "Political Instability, Uncertainty, and Economics", *Journal of Economic Surveys*, 17(1).

ევროპისა და დსთ-ის ზოგიერთ გარდამავალ ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა. ამავე დროს, რეგიონის სხვა ქვეყნები, განსაკუთრებით ისინი, სადაც დემოკრატიული ევოლუცია არათანმიმდევრულია, რაც ამ ქვეყნების მთავრობების სტაბილურობასა და ეფექტიანობას ეჭვის ქვეშ აყენებს და სოციალური არეულობის პერსპექტივას აჩენს, უცხოელი ინვესტორების მიერ უმეტესად იგნორირებულია.

ყველა ინვესტიცია, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მომავალზე ორიენტირებული აქტივობაა, რომელიც ემყარება მომავალი მოგების მოლოდინს და ამ მოგების მიღების რწმენას. ამიტომ, რომელიმე ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებაზე გადაწყვეტილება თითქმის ყოველთვის გულისხმობს ამ კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური მომავლის შეფასებას. მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა ორი მთავარი რისკის არსებობას ნიშნავს, რომლებიც ინვესტორმა ინვესტიციის ეკონომიკური ეფექტის ანალიზის დროს უნდა გაითვალისწინოს. ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში¹². პირველი რისკი შიდა არასტაბილურობას ან კონფლიქტს უკავშირდება, რამაც, შესაძლოა, საქმიანობის მომგებიანობა შეამციროს იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ტიპის რისკი არსებობს, ვინაიდან შეიძლება საფრთხე შეექმნას გაყიდვებსა და ექსპორტს, შეჩერდეს წარმოება, ანდა დაზიანდეს რესურსები. მეორე რისკი არის ის, რომ პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, შესაძლოა, ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე იმოქმედოს, რაც შეამცირებს როგორც ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებული აქტივების ღირებულებას, ასევე ნებისმიერ მოსალოდნელ მოგებას ინვესტიციაზე.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გლობალურ ბაზარზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირებასთან ერთად, საქართველოს პოლიტიკური მომავლის გაურკვეველობამ, რაც 2012 წლის არჩევნებითა და რუსეთთან დაძაბული ურთიერთობებით იყო გამოწვეული, პოტენციური ინვესტორები კიდევ უფრო დააფრთხო. ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება განსაკუთრებით 2012 წლის მესამე და მეოთხე კვარტლებში შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც UNCTAD-ი ამტკიცებს, საერთაშორისო ინვესტორებს ფულის დიდი მარაგები აქვთ¹³, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2013 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება გაიზრდება, თუ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური არასტაბილურობა არ გაგრძელდება და ინვესტორებს ეჭვი არ შეეპარებათ ახალი რეჟიმის კომპეტენტურობასა და აქედან გამომდინარე, ქართული ვალუტის მომავალ სიძლიერეში.

თუმცა, საერთაშორისო ინვესტორები არ იჩქარებენ მათთვის ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ახალ და გრძელვადიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად გარდაქმნას მანამ, სანამ საერთაშორისო ფინანსური ბაზრები არასტაბილური, ხოლო საქართველოს მომავალი გაურკვეველი იქნება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებულია


12 Brada, J; Kutun, A; Yigit, T (2005), "The Effects of Transition and Political Instability on Foreign Direct Investment in ECE Emerging Markets", *UNECE Publications*

13 UNCTAD (2012), *World Investment Report 2012: Towards a New Generation of Investment Policies*

იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გამოვა გლობალური ეკონომიკა რეცესიიდან და რამდენად წარმატებულად გააგრძელებს და გააძლიერებს საქართველოს მთავრობა აქამდე არსებულ ეფექტიან საინვესტიციო პოლიტიკას. საბედნიეროდ, ახლად არჩეულმა მთავრობამ ალიარა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის და გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს მათ მოზიდვას ინვესტიციების დაცვის ზომების განხორციელებით და სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს შექმნით¹⁴.

ერთი რამ, რასაც ინვესტორი ქვეყანაში ინვესტიციის დაგეგმვისას ყურადღებას აქცევს, არის აქტივების რენტაბელურობა, ანუ მოგება ინვესტირებულ აქტივებზე, რაც იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ეფექტიანად შეიძლება აქტივების გამოყენება შემოსავლების გენერირებისათვის. ამის გამოთვლა შემოსავლების მთლიან აქტივებზე გაყოფით ხდება; რაც უფრო მაღალია მიღებული ციფრი, მით უკეთესი, ვინაიდან ეს აჩვენებს, რომ კომპანია ნაკლებ ინვესტიციაზე მეტ შემოსავალს იღებს. როგორც გრაფიკიდან ჩანს (გრაფიკი 4), ინვესტიციის მოგებად გარდაქმნის თვალსაზრისით საქართველოში უკეთესი მდგომარეობა 2011 წელს იყო, თუმცა, წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობა გაუარესდა და აქტივების რენტაბელურობა ახლა 0.5%-ს შეადგენს.

გრაფიკი 4 უკუგება აქტივებზე www.imf.org




საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდიწებასთან დაკავშირებით ძალიან ოპტიმისტური პროგნოზი გააკეთა. სამინისტროს თანახმად,

¹⁴ საქართველოს მთავრობა (2012), *სამთავრობო პროგრამა*, ნანახია 2012 წლის 20 მარტს, <http://government.gov.ge/files/68_35092_403443_programa.pdf>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს¹⁵ და თანდათანობით 2007 წლის დონეს მიუახლოვდება - ანუ, გაორმაგდება 2012 წლის მონაცემთან შედარებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი კრიზისამდელი დონის მიღწევა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გამოვა გლობალური ეკონომიკა რეცესიიდან და რამდენად წარმატებით გააგრძელებს საქართველო თავის ღია კარის პოლიტიკას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში.

თუმცა, არ უნდა ავჩქარდეთ და არ უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია პრეკრიზისული 2007 წლის პიკის (გრაფიკი 1) მიღწევა. UNCTAD-ის თანახმად¹⁶, სულ უფრო მეტი ნაკლებგანვითარებული ქვეყანა ახორციელებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდ პოლიტიკას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კონკურენციას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდას ისწრაფვიან. ამრიგად, საქართველოს მოუწევს ბევრად უფრო აგრესიული პოლიტიკის განხორციელება ინვესტიციების მოსაზიდად და, ამ შემთხვევაშიც, არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზრდება სანამ დასავლეთი რეცესიაშია. ამასობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბალმა დონემ, შესაძლოა, ადგილობრივი დანაზოგების ზრდა წაახალისოს, რაც მთლიანი კაპიტალის ფორმირებას დაემატება; მთლიანი კაპიტალის ფორმირება კი დადებით კორელაციაშია ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასთან (გრაფიკი 5). როდესაც კაპიტალის შემოდინება მცირდება, ხოლო ერთობლივი მოთხოვნა ფულზე ნარჩუნდება ან იზრდება, იზრდება ფასი რაც, თავის მხრივ, ადგილობრივი დანაზოგების სტიმულირებას ახდენს.

გრაფიკი 5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მთლიანი კაპიტალის ფორმირება www.geostat.ge




15 <http://24saati.ge/index.php/category/news/2013-03-13/36432.html>

16 UNCTAD (2012), *World Investment Report 2012: Towards a New Generation of Investment Policies*

გარდა ამისა, საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერთჯერად, მსხვილ ინვესტიციებზე. მე-ნ გრაფიკიდან ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი კონტრიბუტორი გერმანიაა, თუმცა წინა წლებში ეს ასე არ იყო. 2005–2011 წლებში გერმანიის წლიური ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში საშუალოდ 26 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც გერმანიის მიერ 2012 წელს საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებული 142 მილიონი აშშ დოლარის 18%-ს შეადგენს. 2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50% საქართველოში ოთხი სხვადასხვა წყაროდან შემოვიდა, 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49% ხუთი წყაროდან, 2009 წელს კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 56% ოთხი წყაროდან შემოვიდა. თითოეულ ამ შემთხვევაში, ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის დიდ წილს ერთი მსხვილი ინვესტიცია შეადგენდა. მაგალითად, 2011 წელს ისევე, როგორც 2009 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 22% მხოლოდ ერთ ქვეყანაზე მოდიოდა - ჰოლანდიასა (2011-ში) და გაერთიანებულ არაბთა საემიროებზე (2009-ში). ჰოლანდია, აზერბაიჯანი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით სტაბილურ წყაროებს წარმოადგენენ; ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ მათი წილი იშვიათად ყოფილა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 5%-ზე ნაკლები, ამ ქვეყნების წილი წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მერყეობდა. მაგალითად, ზოგად ტენდენციას მიუყვებოდა გაერთიანებული სამეფოდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებმაც პიკს 2006 წელს მიაღწია 187 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით, მკვეთრად შემცირდა 2009 წელს, ხოლო 2010-2012 წლებში საშუალო წლიურ 59 მილიონ აშშ დოლარამდე დასტაბილურდა. ჰოლანდიიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასეთ ზოგად ტენდენციას არ მიუყვება - როგორც 2007, ასევე 2011 წელს ამ ინვესტიციებმა 250 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, 2006-დან დღემდე ყველა სხვა წლებში კი 18 მილიონიდან 136 მილიონ აშშ დოლარამდე მერყეობდა¹⁷.

ფიგურა 6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით www.geostat.ge



17 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; <http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=140&lang=eng>

ერთი მხრივ, ეს მსხვილი ინვესტიციები სტატისტიკას დაუცველს ხდის იმ ცვლილებების მიმართ, რაც ერთი მსხვილი ინვესტიციის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს. მეორე მხრივ, ამ მსხვილმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა დაღმავალი ტენდენცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველომ ამ და წინა წლებში შედარებით მცირე და უფრო სტაბილური ინვესტიციების მოზიდვა ვერ შეძლო.

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

მთლიანი შიდა პროდუქტი

საქართველოს და მთლიანად რეგიონის ეკონომიკური პერსპექტივა ხელსაყრელი რჩება და გლობალური ფინანსური კრიზისიდან ნელი გამოსვლის პროცესს შეესაბამება. 2012 წელს საქართველოში მაკროეკონომიკური ცვლილებები პოზიტიური იყო და ინფლაცია შემცირდა. აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის შენელება და ინვესტიციების შემცირება პოსტ-საარჩევნო გაურკვეველობის გამო. შესაბამისად, ახალი მთავრობის წინაშე ადგილობრივი კერძო დაფინანსების წყაროების მობილიზების გამოწვევა დგას, ვინაიდან საგარეო რესურსები შეზღუდულია. ამ გაურკვეველობის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სარეზერვო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლითაც ქვეყნისთვის 400 მილიონი აშშ დოლარი იქნება ხელმისაწვდომი, თუ თანხების საჭიროება მოულოდნელად შეიქმნა¹⁸. მთავარ მაკროეკონომიკურ გამოწვევად კვლავ მუდმივად მაღალი მიმდინარე ანგარიშის და ფისკალური დეფიციტი რჩება. რამდენიმე საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტმა მთავრობას ურჩია ფისკალური კონსოლიდაციის და სტრუქტურული რეფორმების განხორციელება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და ამით ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევისთვის. ფისკალური კონსოლიდაციის პროცესი დაწყებულია: 2012 წლის ბოლოსთვის კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 2.9% შეადგინა, ხოლო 2013 წელს ამ დეფიციტის 2.8%-მდე შემცირებაა დაგეგმილი¹⁹.

ამავე დროს, წინასაარჩევნო დაპირებების შესრულების მიზნით, მთავრობამ ყველაზე დაუცველთათვის სოციალური ხარჯები გაზარდა. მთავრობა ასევე გეგმავს სოფლის მეურნეობის განვითარებას ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად, თუმცა, ამისათვის სოფლის მეურნეობის სექტორში მეტი ინვესტიციების დაბანდება საჭიროა. ამ გეგმისა და გაზრდილი სოციალური ვალდებულებების შესრულებამ მთავრობა, შეიძლება, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის საჭიროების წინაშე დააყენოს. თუ გავითვალისწინებთ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების ნორმალიზების დაპირებას, შესაძლოა მოხდეს ექსპორტის ზრდა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ევროზონის მიმდინარე კრიზისი უარყოფითად მოქმედებს საქართველოზე, რაც ძირითადად ექსპორტის ზრდის ტემპების შემცირებით გამოიხატება.

წინასწარი მონაცემებით, 2012 წლის ეკონომიკური ზრდა 5.5% იყო²⁰. თუმცა, საქართველოს

18 <http://www.imf.org/external/np/sec/pr/2013/pr1375.htm>


19 www.mof.ge

20 IMF Regional Economic Outlook. ნოემბერი, 2012.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) წინასწარი მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალურმა ზრდამ 2012 წელს 6.1% შეადგინა მშპ-ის დაბალი, 1.2%-იანი დეფლატორის გათვალისწინებით. 2012 წლის ნომინალური მშპ 26,138.9 მილიონი ლარი იყო, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 7.4%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით. მშპ-ის ზრდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2012 წლისთვის თავდაპირველად პროგნოზირებულ 6.5%-ზე ოდნავ ნაკლებია. 2013 წელს მშპ-ის მოსალოდნელი რეალური ზრდა 5.5%-ს შეადგენს.


იმ სექტორების თვალსაზრისით, რომლებიც მშპ-ის ზრდას უწყობენ ხელს, საქართველოს მშპ-ის სტრუქტურა, წინა წელთან შედარებით, პრაქტიკულად არ შეცვლილა. მშპ-ის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (მთლიანი მშპ-ის 17%) ისევ ვაჭრობამ შეიტანა, რომელსაც მრეწველობის სექტორი მოსდევდა. ნომინალურ გამოსახულებაში, ყველაზე დიდი ზრდა ფინანსური შუამავლობის (18.1%), მშენებლობის (16%) და მრეწველობის (13.1%) სექტორებში აღინიშნა. სოფლის მეურნეობა უმსხვილესი დამსაქმებელია, მაგრამ მისი წილი კვლავ მცირეა - მშპ-ის 8%. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სოფლის მოსახლეობის შემოსავლების 45%-ს შეადგენს, სოფლად დასაქმებულთა 73% კი სოფლის მეურნეობას საკუთარი მოხმარებისთვის მისდევს. ამ სექტორის დაბალი პროდუქტიულობა სოფლის მეურნეობის სავაჭრო დეფიციტის გაღრმავებაში გამოიხატა. სოფლის მეურნეობის სექტორში არსებულ ძირითად პრობლემებს შორის არის ინვესტიციების დაბალი დონე, რაც ძალიან დანაწევრებული მიწებით არის გამოწვეული. ასევე პრობლემაა ტრანსპორტირების მაღალი ხარჯები, ბაზრებთან დამაკავშირებელი გზების გაუმართავი ქსელი და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა²¹.

გრაფიკი 7 მშპ ზრდა და მშპ დეფლატორი www.geostat.ge



21 World Bank – Georgia Partnership Country Program Snapshot. October 2012. <http://www.worldbank.org/content/dam/World-bank/document/Georgia-Snapshot.pdf>

გრაფიკი 8 მშპ სექტორულ ქრილში www.geostat.ge



ცოტა ხნის წინ, არაფორმალური ეკონომიკის მასშტაბი პოლიტიკის შემმუშავებელთა ინტერესის საგანი გახდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად, საქართველოს არაფორმალური ეკონომიკა, 2008 წლის მდგომარეობით, მშპ-ის თითქმის 30%-ს შეადგენდა; თუმცა, ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი 20%-მდე შემცირდა. ცხადია, არაფორმალური ეკონომიკის დიდი მასშტაბი საჯარო ფინანსებს ვნებს, რადგან არაფორმალური საქმიანობები დაბეგვრას არიდებენ თავს. საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის არსებობის მთავარ მიზეზებად მიჩნეულია ფინანსურ და სასაქონლო ბაზრებთან დაკავშირებული რეგულირების ტვირთი და, განსაკუთრებით, საკრედიტო ბაზარსა და ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული სირთულეები. სხვა განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაასახელა, არის არსებული მონოპოლიები, თავისუფალი კონკურენციის ნაკლებობა და ბაზარზე დომინირება. მიჩნეულია, რომ არაფორმალური ეკონომიკის 40%-ს ეს ფაქტორები განაპირობებს²².

ბიზნესის წარმოების ხელის შემშლელი ბარიერების შესამცირებლად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ გამარტივებული და შედარებით იაფი ბიზნეს და საგადასახადო რეგულაციების შემოღების რეკომენდაციებს კი არ იძლევა, არამედ ამ რეგულაციების განსახორციელებლად სამართლიანი გარემოს შექმნის რეკომენდაციასაც. სამართლიანი გარემოს შექმნა გულისხმობს გარკვეული ბიზნესებისადმი ფავორიტიზმის დაძლევას და ყველასათვის თანაბარი სათამაშო მოედნის უზრუნველყოფას. ამის ნაკლებობა, ცოტა ხნის წინ, მსჯელობის მთავარი თემა იყო

22 IMF Regional Economic Outlook. აპრილი 2012.

საქართველოში. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ახლადარჩეული მთავრობა აქცენტს ელიტური კორუფციის პრობლემასა და ქვეყნის უსამართლო და არაკონკურენტულ ბიზნეს-გარემოზე აკეთებდა. ამრიგად, ყველა კომპანიისა და მშრომელისთვის საშუალების მიცემა, კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს თანაბარ სათამაშო მოედანზე, არა მხოლოდ ადგილობრივი ბიზნესების ზრდას, არამედ ინვესტიციების მოზიდვასაც შეუწყობს ხელს.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი


2011 წელს დაფიქსირებული პიკის შემდეგ, 2012 წელს საქართველოში ინფლაცია შემცირდა და თარგეტირებულ 6%-ს არ ასცილებია. წლიური ინფლაციის განაკვეთი მხოლოდ 0.6% იყო (გრაფიკი 9). საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად, ეს კლება მიწოდების ისეთმა ფაქტორმა გამოიწვია, როგორც იყო ჭარბი ადგილობრივი მოსავალი 2011 წელს და გლობალური ფასების კლება საკვებ პროდუქტებზე 2012 წლის პირველ ნახევარში (გრაფიკი 10)^{23,24}. ამავე დროს, 2012 წელს შესუსტებულ ეკონომიკურ აქტივობას მოთხოვნის ზენოლები არ შეუქმნია, რამაც კიდევ უფრო შეამცირა ინფლაცია. 2013 წელს ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის ზრდა მოსალოდნელია საკვებ პროდუქტებზე გლობალური ფასების პროგნოზირებული მატების გამო, რაც ადგილობრივი საკვები პროდუქტების ფასებზეც მოახდენს გავლენას. საქართველო მნიშვნელოვნად რეაგირებს სასაქონლო ფასების გლობალურ ცვლილებებზე. საქართველოში საკვებ პროდუქტებზე ინფლაციამ პიკს (30.7%-ს), 2011 წლის მაისში (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) მიაღწია და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო²⁵.

23 IMF Regional Economic Outlook. ნოემბერი 2012.

24 სებ-ის ანგარიში ინფლაციაზე. თებერვალი 2013. http://www.nbg.ge/uploads/publications/inflationreport/2013/ir_2013q1_publish_eng.pdf

25 World Bank – Georgia Partnership Country Program Snapshot. ოქტომბერი 2012. <http://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/document/Georgia-Snapshot.pdf>

გრაფიკი 9 სამომხმარებლო ფასების ინდექსი www.geostat.ge



გრაფიკი 10 სურსათის ფასების ინდექსი www.fao.org



სებ-ის პროგნოზით, 2013 წლის პირველ ნახევარში ინფლაცია თარგეტირებულ (მიზნობრივ) 6%-ს არ ასცდება, კომუნალურ მომსახურებაზე შემცირებული ფასების ფონზე. თუმცა, 2013 წლის მეორე ნახევრიდან, ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება ინფლაციის თანდათანობით ზრდას გამოიწვევს და 2014 წლის მეორე ნახევარში თარგეტირებულ მაჩვენებელს მიუახლოვდება²⁶. შენელებული ეკონომიკური აქტივობის გამო და საკუთარ პროგნოზსა და მაკროეკონომიკურ ანალიზზე დაყრდნობით, სებ-ი ეკონომიკის სტიმულირებას რეფინანსირების განაკვეთის კლებით ცდილობს, რომელიც 2013 წლის თებერვალში 4.75%-მდე შეამცირა. რეფინანსირების განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტია. საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ეკონომიკაში საბაზრო განაკვეთების, გაცვლის კურსის და საკრედიტო აქტივობის მეშვეობით გავლენას აგრეგირებულ მოთხოვნაზე ახდენს. მონეტარული პოლიტიკის ცვლილებები ეკონომიკაში გარკვეული დაგვიანებით აღწევს და, ამიტომ, მისი სრული ეფექტი ჯერ არ ჩანს.

ევროზონის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) უმეტეს ქვეყანაში ინფლაციის დაღმავალი ტენდენცია აღინიშნა; ამიტომ, ცენტრალური ბანკები აკომოდაციურ (ერთგვარად შუალედურ) მონეტარულ პოლიტიკას ატარებდნენ და დაბალ საპროცენტო განაკვეთებს ინარჩუნებდნენ ექსპერიმენტული პროგრამების განხორციელებასთან ერთად, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე განაკვეთების შემცირებისა და ზოგადად, კონკრეტული კატეგორიის მვეალებების ან ფინანსური შუამავლების დახმარებისთვის იყო გამიზნული²⁷. 2012 წლის ბოლოდან 2013 წლის დასაწყისამდე ნავთობის ფასები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. მიუხედავად აღმოსავლეთში არსებული დაძაბულობისა, ნავთობის მთლიანი მიწოდება გაიზარდა აშშ-დან და კანადიდან გაზრდილი მიწოდების გამო.

საგარეო სექტორი

ზოგადად, საერთაშორისო ორგანიზაციებმა 2013 წლისთვის პოზიტიური ეკონომიკური პროგნოზები გააკეთეს. თუმცა, მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი (გრაფიკი 13; ამჟამად მშპ-ის 21.2%-ის ტოლი) და გარდამავალ პოლიტიკურ პერიოდთან დაკავშირებული გაურკვეველობა ქვეყნის ყველაზე დიდ რისკებად სახელდება. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის თანახმად, საქართველოს მიმდინარე ანგარიშის გაზრდილი დეფიციტი ნაწილობრივ ლარის მაღალი გაცვლის კურსის შედეგია (გრაფიკი 11), რამაც იმპორტის მატება გამოიწვია და ქვეყნის სავაჭრო ბალანსი გააუარესა -5 465 მილიონ აშშ დოლარამდე (გრაფიკი 12), ანუ ქვეყნის მშპ-ის 24.9%-მდე (გრაფიკი 13), რაც 2007 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მონაცემია. ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნის მატება, შესაძლოა, ფულადი გზავნილების მოცულობის რეკორდულმა ზრდამ გამოიწვია, რომლებსაც ბენეფიციარები ადგილობრივ ვალუტაზე ცვლიან მოხმარებისათვის. იმ პირობებში, როდესაც პირდაპირი უცხოური

26 სებ-ის ანგარიში ინფლაციაზე. თებერვალი 2013. <http://www.nbg.ge/index.php?m=349>


27 IMF. *World Economic Outlook*. ოქტომბერი 2012. <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2012/02/index.htm>

ინვესტიციების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ასეთი დეფიციტების დაფინანსება მზარდი საგარეო ვალდებულებებით ხდება, რომლებიც უკვე ისედაც საკმაოდ მაღალია - დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო ვალი მშპ-ის 36.3%-ს შეადგენს (გრაფიკი 13).

მეორე მხრივ, კორპორატიულმა სექტორმა 2012 წელს სამჯერ მოახდინა ევროობლიგაციების გამოშვების ინიცირება - 250 მილიონი აშშ დოლარის საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ, 500 მილიონი აშშ დოლარის საქართველოს რკინიგზამ და 250 მილიონი აშშ დოლარის საქართველოს ბანკმა. შედეგად, 2012 წლის მთლიანი საგარეო ვალი, სავარაუდოდ, 9.7 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს, რაც მშპ-ის 59.1%-ია²⁸.

გლობალური ეკონომიკის გაუარესებამ შეიძლება შეამციროს ექსპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კაპიტალის სხვა ნაკადები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. ამიტომ, ფისკალური კონსოლიდაცია აუცილებელ ზომად არის მიჩნეული იმისათვის, რომ შეიქმნას საბიუჯეტო თანხებით მანევრირების დამატებითი შესაძლებლობა გადახდების შესასრულებლად უფრო დიდი გლობალური შოკის შემთხვევაში. შემდგომი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება ოსტატურ მართვას მოითხოვს, რათა მოხდეს ინფრასტრუქტურის განვითარების და სოციალური ხარჯების საჭიროებების სწორად დაბალანსება.


გრაფიკი 11 ოფიციალური გაცვლითი კურსი www.nbg.ge




28 World Bank – Georgia Partnership Country Program Snapshot. ოქტომბერი 2012. <http://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/document/Georgia-Snapshot.pdf>

2012 წელს, 2008/2009 წლის ეკონომიკური დაღმასვლის შემდეგ, იმპორტიცა და ექსპორტიც ზრდის ტენდენციას აჩვენებდა (გრაფიკი 14). თუმცა, საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის) კვლავ დეფიციტურია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ, ფულადი გზავნილების ნაკადებს თუ არ ჩავთვლით, ბევრად მეტი ღირებულება გაედინება ქვეყნიდან, ვიდრე შემოედინება. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლის შემდეგ საქართველოს ექსპორტი შვიდჯერ გაიზარდა, რაც ქვეყნის მშპ-ის ზრდის შთამბეჭდავ ტემპს შეესაბამება, სხვაობა მთლიან ექსპორტსა და მთლიან იმპორტს შორის 14-ჯერ გაიზარდა იმავე პერიოდში. 2012 წელს საქონლისა და მომსახურების იმპორტი 5464 მილიონი აშშ დოლარით მეტი იყო ექსპორტზე (2377 მილიონი აშშ დოლარის ექსპორტი და 7842 მილიონი აშშ დოლარის იმპორტი), რაც საკმაოდ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ტვირთს წარმოადგენს.

გრაფიკი 12 საქონლით ვაჭრობა (მლნ. აშშ დოლარი) www.geostat.ge



გრაფიკი 13 სავაჭრო, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-სთან www.mof.ge




მიუხედავად იმის, რომ ბოლო 4 წელიწადში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებაში, იგი კვლავ რეგიონის რამდენიმე ქვეყანაზე რჩება მნიშვნელოვნად დამოკიდებული. 2012 წელს (გრაფიკი 15), საქართველოს ექსპორტის 54% ხუთ ქვეყანაში მიდიოდა (აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, ყაზახეთი და აშშ), რომელთაგან მხოლოდ ერთი (აშშ) არ არის რეგიონული ქვეყანა. ეს მხოლოდ ერთი ქვეყნით მეტია 2009 წელთან შედარებით, როდესაც საქართველოს ექსპორტის 53% მხოლოდ 4 ქვეყანაში იგზავნებოდა (თურქეთი, აზერბაიჯანი, კანადა და სომხეთი). აზერბაიჯანი და თურქეთი საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებად რჩებიან: 2005 წლიდან ამ ქვეყნებზე, ერთობლივად, საქართველოს წლიური ექსპორტის საშუალოდ 28% მოდის. ბოლო წლებში, თურქეთში ექსპორტი პროცენტულად შემცირდა - 2009 წლის 20%-დან 2012 წელს 6%-მდე, ხოლო აზერბაიჯანში კი პირიქით, გაიზარდა 2005 წლის 4%-დან 2012 წელს 26%-მდე.

2009-2012 წლებში საქართველოს ექსპორტის ზრდა ნაწილობრივ გამოიწვია ექსპორტის მოცულობის ისეთ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მატებამ, როგორც აზერბაიჯანია; თუმცა ეს ზრდა, უმეტესწილად, ახალ ბაზრებზე შესვლის შედეგია. მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 1%-დან 4%-მდე შედის - თუ 2009 წელს ასეთი მხოლოდ

3 ქვეყანა იყო, 2012-ში მათმა რაოდენობამ 9-ს მიაღწია (გრაფიკი 15); ექსპორტის აბსოლუტური ღირებულება კი საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობაში შედარებით სტაბილური დარჩა.

გრაფიკი 14 ექსპორტი და იმპორტი სულ (მლნ. ლარი) (1995-2012) www.geostat.ge




მიუხედავად მიღწეული გარკვეული წარმატებისა, საქართველოს სჭირდება ექსპორტის პორტფელის მკვეთრი დივერსიფიკაცია და გაფართოება, რათა გაგრძელდეს ის შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ქვეყანას ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჰქონდა, მოხდეს საქართველოს ეკონომიკის ღირებულების გამყარება და მიღწეული იქნეს მეტი თანაფარდობა საკრედიტო ანგარიშში. შეიძლება - და სასურველია - სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკისა და გაუმჯობესების სტრატეგიის შესწავლა საქართველოს კონტექსტში მათი გამოყენების კუთხით. საქართველოს ექსპორტის ახალ ბაზრებზე შეღწევისათვის საჭიროა მკაცრი კონტროლის დაწესება საქართველოს საექსპორტო პროდუქციაზე, რათა მისი ხარისხი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესდეს. თუმცა შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო ბევრი მენარმე ვერ ახერხებს საკუთარი ხარისხის კონტროლის მექანიზმის შექმნას. ინდოეთმა, მაგალითად, წარმატებით შეძლო ტესტირების რეგიონული ცენტრების შექმნა ეკონომიკურად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ რეგიონებში, სადაც მექანიკური, ქიმიური და ელექტრონული პროდუქციის ზოგადი და პროდუქტზე ფოკუსირებული ტესტირება ტარდება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის შემთხვევაში მთავარი გამოწვევა, რაც ამ პროდუქციის ექსპორტს ზღუდავს, არის სტანდარტების, ფიტოსანიტარიული და მცენარეთა დაცვის ზომების და პირუტყვის დაავადებათა კონტროლის არარსებობა. დამატებითი ფინანსების მიმართვით ამ სექტორის აღორძინების სამთავრობო ინიციატივებმა შესაძლოა პოზიტიური შედეგი გამოიღოს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინვესტიციამ კომერციულ საქმიანობებში კერძო ინვესტიციების სტიმულირება მოახდინოს და არა განდევნა.

რუსეთში ექსპორტმა, 2006 წლის მკვეთრი კლების შემდეგ (მთლიანი ექსპორტის 8%-მდე 2005 წლის 18%-დან), მატება დაიწყო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (გრაფიკი 16). ეს ტენდენცია 2012 წელსაც გაგრძელდა, თუმცა სავაჭრო ემბარგო და დაძაბული ურთიერთობა საქართველოს ხელს უშლის, სრულად გამოიყენოს ეს პოტენციურად მნიშვნელოვანი ბაზარი. 2012 წელს 46 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტი რუსეთში კვლავ საკმაოდ ჩამორჩება იმ 154 მილიონ აშშ დოლარის ექსპორტს, რაც 2005 წელს განხორციელდა. 2012 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თქვა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო კავშირების „დეპოლიტიზაცია“ უნდა მოხდეს და რომ საქართველოს პროდუქციის რუსეთის ბაზარზე ხელახლა დაშვება მხოლოდ ტექნიკური პროცედურის საქმეა. თუმცა, მას შემდეგ ბევრი არაფერი გაკეთებულა გარდა ამა წლის თებერვლის დასაწყისში გამართული მოლაპარაკებებისა, რომლებიც იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთმა, შესაძლოა, მალე მოხსნას თავისი ემბარგო ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყლებზე.


გრაფიკი 15 ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2012 (www.geostat.ge)



მე-17 გრაფიკში ჩანს ექსპორტის კლება ევროკავშირის და OECD-ის ქვეყნებში 2011-2012 წლებში. ექსპორტის მკვეთრი კლება, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში (და უფრო ზოგადად, OECD-ის ქვეყნებში), ევროზონის კრიზისის შედეგია, რამაც ბევრი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ზრდაზე იქონია გავლენა იმპორტისა და ინვესტიციების შემცირების სახით. იტალიის, ესპანეთის, ირლანდიის, საფრანგეთისა და საბერძნეთის საბანკო სისტემების რეკაპიტალიზაციის მიზნით ევროპის ცენტრალური ბანკის ინტერვენციების მიუხედავად, 2011 წლის ბოლო კვარტალში კრიზისი ახალ და განსაკუთრებით სახიფათო ფაზაში შევიდა.

ევროზონის კრიზისით აიხსნება ასევე დსთ-სა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ქვეყნებში ექსპორტის ზრდის აღმავალი ტემპის შენელება 2009 წლის შემდეგ. საბანკო დაფინანსება ევროზონაში 2012 წლის პირველ კვარტალში შეწყდა, რამაც რიგ განვითარებულ ქვეყნებში დაკრედიტების პირობების გაუარესება გამოიწვია. ამან, თავის მხრივ, იმოქმედა კაპიტალის ნაკადების შედინებაზე გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის დსთ-ისა და BSEC-ის ქვეყნებში, რამაც შედეგად ბევრი გარდამავალი ბაზრის ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურება მოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიაში, რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში ექსპორტის წილის ზრდამ ევროკავშირში ექსპორტის მნიშვნელობა შეამცირა, ევროკავშირი მაინც ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება დაბალი, საშუალოზე დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისათვის.

გრაფიკი 16 ექსპორტი რუსეთში (2000-2012 წწ) (www.geostat.ge)




ის, რომ ევროზონის კრიზისმა საქართველოს ეკონომიკა უფრო ძლიერად არ დააზარალა იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყნის ექსპორტის უდიდესი წილი რამდენიმე რეგიონულ ქვეყანაზე მოდის და ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან წყაროს არ წარმოადგენს. თუმცა, კავკასიის და

მიმდებარე რეგიონის ეკონომიკური კრიზისის წინაშე საქართველო ძალიან დაუცველი იქნება. თუ, მაგალითად, არსებული სავაჭრო ურთიერთობების შედეგად ევროზონის კრიზისი თურქეთზე უარყოფითად იმოქმედებს, ამან შეიძლება სერიოზული დარტყმა მიაყენოს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის და ზოგადად, ეკონომიკის ზრდას.


ძნელია განჭვრიტო, როგორ იმოქმედებს მომხმარებელთა მოთხოვნის მერყეობა საქართველოს ექსპორტზე. ისეთი პროდუქტების ექსპორტი, რომლებიც მომხმარებლის მოთხოვნისადმი ელასტიურობის დაბალი ხარისხით ხასიათდება (როგორც არის სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტები), შეიძლება ნაკლებად შემცირდეს, ვიდრე ფუფუნების ტიპის საქონლის ექსპორტი, რომლისთვისაც მაღალი ხარისხის ელასტიურობაა დამახასიათებელი. თუმცა, საქართველოს ექსპორტის ყველაზე მსხვილი სასაქონლო კატეგორიების უმეტესობა (გრაფიკი 18) აუცილებელი და ფუფუნების პროდუქტების ზღვარზეა, რაც, ერთი მხრივ, საქართველოს ექსპორტს სიძლიერეს მატებს, მაგრამ მეორე მხრივ, მოთხოვნის შემდგომი კლების წინაშე დაუცველს ხდის.

გრაფიკი 17 ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი) www.geostat.ge



საქართველოს ექსპორტის ყველაზე სუსტი მხარე, ალბათ, ექსპორტის რამდენიმე მთავარ საქონელზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა. 2012 წელს, მსუბუქი ავტომობილები და ფეროშენადნობები საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო საქონლად რჩებოდა. 2009 წლიდან მოყოლებული, მსუბუქი ავტომობილების, ფეროშენადნობების და ლითონის ნარჩენებისა და ჯართის ექსპორტი საქართველოს წლიური ექსპორტის 1/5-ს შეადგენს. მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების (რე) ექსპორტზე 2012 წლის მთლიანი ექსპორტის მეოთხედი მოდიოდა და 588 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს, მოსალოდნელია ამ მონაცემის მნიშვნელოვანი კლება. საქართველოში არ არის მანქანათმშენებლობის ინდუსტრია; ავტომობილების ექსპორტი, რეალურად, იმ მანქანების რეექსპორტია, რომლებიც ევროკავშირის და სხვა ქვეყნებიდან შემოდის და შემდეგ რეგიონის იმ ქვეყნებში იყიდება, სადაც მოთხოვნა ხარისხიან მანქანებზე მაღალია. 2011 წელს, ყაზახეთმა, სადაც რეექსპორტირებულ მანქანებზე მოთხოვნა განსაკუთრებით დიდია, გადანყვიტა საბაჟო რეგულირების გამკაცრება საქართველოდან მანქანების მასობრივი შემოტანის აღსაკვეთად, რასაც ყაზახეთის ეკონომიკისათვის დიდ ტვირთად მიიჩნევდნენ. იმპორტის გადასახადის მოსალოდნელმა ზრდამ ყაზახეთში მოთხოვნის მკვეთრი მატება გამოიწვია; ავტომობილების ექსპორტის 2012 წელს მიღწეული დონე შენარჩუნდება მანამ, სანამ რეგულაციები ძალაში შევა.

გრაფიკი 18 ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 2012 www.geostat.ge




მიუხედავად იმისა, რომ მანქანების რეექსპორტი მცირე სანყის კაპიტალს და ძალიან ცოტა დამატებით ხარჯს მოითხოვს, მოგების მარჟა საკმაოდ მცირეა, ხოლო სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი მინიმალური. შესაბამისად, მანქანის ექსპორტის მონაცემები, შესაძლოა, გაზვიადებულ წარმოდგენას ქმნიდეს საქართველოს ეკონომიკის ზრდაში ამ ინდუსტრიის წვლილზე. ამიტომ,

საქართველოს მიმდინარე ანგარიშების უარყოფითი ბალანსი შეიძლება უფრო მძიმე ტვირთი იყოს ეკონომიკისთვის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.


ფულადი გზავნილები საგარეო დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ წყაროდ რჩება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციისაგან განსხვავებით, ფულადი გზავნილები ნაკლებად რეაგირებს ეკონომიკურ დაღმასვლაზე და საგარეო დაფინანსების ბევრად უფრო სტაბილური წყაროა. ქვემოთ მოცემულ გრაფიკი (გრაფიკი 19) ფულადი გზავნილების მცირედ კლებას აჩვენებს 2009 წელს, თუმცა ეს დროებითი მოვლენა იყო და მას შემდეგ ფულადმა გზავნილებმა მატება დაიწყეს. ფულადი გზავნილების რეკორდული მაჩვენებელი - 1,334.17 ათასი აშშ დოლარი, 2012 წელს დაფიქსირდა - ამ წელს ფულადი გზავნილები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს 64%-ით აღემატებოდა. ფულადი გზავნილების აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 747.4 მილიონი აშშ დოლარი (60%) რუსეთის ფედერაციიდან შემოდის. ევროზონის კრიზისის მიუხედავად, საბერძნეთი და იტალია ისევ მეორე და მესამე ქვეყნებია ფულადი გზავნილების სიდიდით; ამ ქვეყნების წილი მთლიანი ფულადი გზავნილების 10%-ს შეადგენს.

გრაფიკი 19 ფულადი გზავნილები (2006-2012წწ) www.nbg.ge



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების პირობებში, ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის სტაბილურ შემოდინებას უზრუნველყოფს საქართველოში. სხვათა შორის, 2009 წლამდე არსებული ტენდენცია შემობრუნდა და ბოლო 4 წლის განმავლობაში ფულადი გზავნილების მოცულობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისას აჭარბებს; მეტიც, მათ შორის ყველაზე დიდი სხვაობა 2012 წელს დაფიქსირდა (გრაფიკი 20). მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილების მოცულობის მხრივ 2012 წელი რეკორდული იყო, მშპ-ში მათი პროცენტული წილი ოდნავ შემცირდა - ეს წილი სტაბილურად 4%-სა და 5%-ს შორის მერყეობს. იგივეს ვერ ვიტყვით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების პროცენტულ წილზე მშპ-ში, რომლის მერყეობის ამპლიტუდა ბევრად დიდია - ყველაზე დაბალი 3.3%-იანი წილი 2012 წელს დაფიქსირდა მაშინ, როდესაც 2007-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს წილმა ქვეყნის მშპ-ის 11.8% შეადგინა.

გრაფიკი 20 ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)
www.geostat.ge; www.nbg.ge




სახელმწიფო ბიუჯეტი ეკონომიკური განვითარების კონტექსტში

2012 წლის წინასწარი მონაცემების თანახმად, კონსოლიდირებული ბიუჯეტის მთლიანმა შემოსავლებმა 7,565.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 10%-იანი ზრდაა 2011 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით და მშპ-ის 28.9%-ს შეადგენს (რაც 0.7%-იანი ზრდაა). 2011 წელს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა უფრო მაღალი იყო - 17%. მთლიანი ხარჯების საპროგნოზო მონაცემი 6,462.8 მილიონი ლარი იყო, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა (11%) წინა წელთან შედარებით და მშპ-ის 24.7%-ს შეადგენს (1%-იანი ზრდა) (გრაფიკი 21).

საქართველოს მთავრობა ამბობს, რომ ხარჯების წილი მშპ-ში 30%-ზე მეტი არ იქნება. ქვემოთ მოცემული გრაფიკი მშპ-ში ხარჯების წილის თანმიმდევრული კლების და მშპ-ში შემოსავლების წილის ზრდის ტენდენციას აჩვენებს (თუმცა, ამ შემთხვევაში, 2012 წელი გამონაკლისია, ვინაიდან მშპ-ში ხარჯების წილის მცირედი ზრდა აღინიშნა). თეორიის და ემპირიული ლიტერატურის თანახმად, სამთავრობო ხარჯების მთელი მოცულობა ეფექტურობის მაქსიმალურ დონეს აღწევს, როდესაც მშპ-ის 13-14%-ს შეადგენს²⁹. მშპ-ში სამთავრობო ხარჯების ყოველი დამატებითი პროცენტული წილი ეკონომიკური ზრდის ტემპის 0.1-0.4%-იან შენელებას იწვევს. როდესაც ხარჯები მშპ-ის 30%-ს აღწევს, ისინი უარყოფითად მოქმედებს ზრდაზე, ანუ, სამთავრობო ხარჯების უმნიშვნელო ზრდა ეკონომიკის ზრდაზე დადებითად არ აისახება.


გრაფიკი 21 კონსოლიდირებული ბიუჯეტი www.mof.ge



²⁹ Pevcin, P., *Government Activities and their Impact on Economic Growth*
<http://archive.scottish.parliament.uk/business/committees/enterprise/inquiries/bg/30%20Sup%20Evidence.pdf>


შემოსავლების წყაროებს რაც შეეხება, 2012 წლის კონსოლიდირებული ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 88% გადასახადებზე მოდიოდა (გრაფიკი 22). როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველოში, 2007 წლიდან მოყოლებული. გადასახადების პროცენტული წილი მთლიან შემოსავლებში იზრდებოდა, თუმცა 2012 წელი გამონაკლისს წარმოადგენს, ვინაიდან საგადასახადო შემოსავლებმა ოდნავ იკლო (დაახლოებით 1%), რაც გრანტების (24.9%) და არაკლასიფიცირებული საგადასახადო კატეგორიების (31%) ზრდამ გამოიწვია.

გრაფიკი 22 ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები www.mof.ge



საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი, ტრადიციულად, დამატებითი ღირებულების გადასახადზე (დღგ) მოდის; ამ გადასახადმა მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 48% შეადგინა (გრაფიკი 23). საშემოსავლო და მოგების გადასახადებმა მთლიანი საგადასახადო შემოსავლების, შესაბამისად, 24% და 14% შეადგინა. 2011 წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები 8.8%-ით გაიზარდა, მათ შორის საშემოსავლო გადასახადის წილი 12.8%-ით, ხოლო დღგ-ის წილი 9.8%-ით.

გრაფიკი 23 გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების განაწილება www.mof.ge



2012 წელს საქართველოს მთავრობამ ბიუჯეტის შემდგომი კონსოლიდირება მოახდინა და შეძლო ფისკალური დეფიციტის მშპ-ის 2.9%-მდე შემცირება - შედარებისთვის, 2009 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 9.2% იყო. 2013 წელს მთავრობა ფისკალური დეფიციტის მშპ-ის 2.8%-მდე შემცირებას გეგმავს. ახალი მთავრობა სხვადასხვა საბიუჯეტო კატეგორიების ხარჯების ძირეულ ცვლილებებსაც გეგმავს.

სამწუხაროდ, 2013 წლის ბიუჯეტის პროექტში უკვე ჩანს გარკვეული კოლიზია ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ თანასწორობას შორის. მიგვაჩნია, რომ ეს კოლიზია ეკონომიკური ზრდის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, ვინაიდან სოციალური თანასწორობის ამოცანა ეკონომიკური ზრდის გარეშე ვერ მიიღწევა. ბიუჯეტის გაანალიზების საფუძველზე, ახალ მთავრობას მოეუწოდებთ, უფრო რეალისტურად მიუდგეს მომდევნო საბიუჯეტო ციკლს და არაგონივრული ხარჯებისკენ მილიარდობით ლარის მიმართვის ნაცვლად, აღიაროს, რომ წინასაარჩევნო დაპირებების სწრაფად შესრულება შეუძლებელია.

2013 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ბიუჯეტის ფინანსური რესურსები 8748.5 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელს 628.5 მილიონი ლარით აღემატება (გრაფიკი 24). ამ ფინანსური რესურსების 8425.5 მილიონი ლარი შემოსულობებით მობილიზებული თანხაა (ყველა იმ შემოსავლის ჯამი, რომლის აკუმულირებაც უნდა მოხდეს ბიუჯეტში), ხოლო დანარჩენი ხელმისაწვდომი დეპოზიტია (ბალანსი გრანტებისა და კრედიტების გამოკლებით). წინა წლებში,

ფონდების აკუმულირება ძირითადად საბიუჯეტო ანგარიშებზე ხდებოდა (109 მილიონი ლარი 2010 წელს, 122 მილიონი ლარი 2012 წელს) ანდა მათი გამოყენება უმნიშვნელო იყო (11.5 მილიონი ლარი 2011 წელს). 2013 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია საბიუჯეტო ანგარიშებზე არსებული ფონდებიდან 323 მილიონი ლარის დახარჯვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიუჯეტი ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ეკონომიკაზე მას გადამწყვეტი გავლენა აქვს. ამიტომ, თუ ინფლაციის მართვის მიმდინარე პროცესს გავითვალისწინებთ, საბიუჯეტო ანგარიშიდან ფონდების ასეთი მასშტაბური გამოყენება პოტენციურად დიდ საფრთხეს შეიცავს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო ხარჯებსაც. 2012 წელს, ვალდებულებები სახელმწიფო ბიჯეტიდან 189.4 მილიონი ლარით უნდა დაფარულიყო, 2013 წლის შესაბამისი მონაცემი კი 539.8 მილიონ ლარამდეა გაზრდილი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ, 2012 წელთან შედარებით, ბიუჯეტიდან (რომელიც 628.5 მილიონი ლარითაა გაზრდილი) 305.5 მილიონი ლარი ადგილობრივ ბაზარზე არ დარჩება და შესაბამისად, ინფლაციაზე მისი გავლენა უმნიშვნელო იქნება. თუმცა, ეს ზემოხსენებულ საფრთხეს მთლიანად არ ხსნის. წლის დასაწყისში საბიუჯეტო შემოსავლები ბევრად ნაკლებია, ვიდრე წლის ბოლოს; მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო ორგანიზაციები შესყიდვების პროცედურებს წლის დასაწყისიდან აწარმოებენ. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების ყოველკვარტალური დაბალანსებისათვის აუცილებელი იქნება ასეთი ხელმისაწვდომი დეპოზიტების გამოყენება, რაც ინფლაციის ზრდას შეუწყობს ხელს.

გრაფიკი 24 ბიუჯეტის ფინანსური რესურსი www.mof.ge

| | 2011 | 2012 | 2013 |
|---|----------------|----------------|----------------|
| I. შემოსულობები | 7,447.7 | 8,242.0 | 8,425.5 |
| შემოსავლები | 6,442.3 | 7,053.6 | 7,422.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 189.8 | 70.0 | 100.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 80.7 | 60.0 | 35.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 734.9 | 1,058.4 | 868.0 |
| II. ნაშთის ცვლილება +გამოყენება/-დაგროვება | 11.5 | -122.0 | 323.0 |
| ფინანსური რესურსი | 7,459.2 | 8,120.0 | 8,748.5 |
| % მშპ | 30.8 | 30.7 | 29.9 |

შემოსავლები 2013 წლის ბიუჯეტში 7 422.5 მილიონ ლარით არის განსაზღვრული, რაც 2012 წლისას 368.9 ათასი ლარით აღემატება (გრაფიკი 20).

გრაფიკი 25 ბიუჯეტის შემოსავლები www.mof.ge

| | 2011 | 2012 | 2013 | +/-ცვლილება |
|------------------|----------------|----------------|----------------|--------------|
| შემოსულობები | 6,442.3 | 7,053.6 | 7,422.5 | 368.9 |
| გადასახადები | 5,802.0 | 6,300.0 | 6,920.0 | 620.0 |
| გრანტები | 223.1 | 333.6 | 202.5 | -131.1 |
| სხვა შემოსავლები | 417.2 | 420.0 | 300.0 | -120.0 |

შემოსავლების ზრდა საგადასახადო შემოსავლების მატებას უკავშირდება, რაც 2012 წელთან შედარებით 620 მილიონი ლარით არის გაზრდილი. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2012 წელთან შედარებით გრანტებითა და სხვა შემოსავლებით მიღებული ფინანსური საშუალებები შემცირდა, მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა მხოლოდ 368.9 მილიონ ლარს შეადგენს.

საქართველოში ფისკალური კონსოლიდაციის პროცესის მთავარი გამოწვევა სოციალური ხარჯების ზენოლის მართვა და ამავე დროს, მოხუცებულთათვის ადეკვატური პენსიის, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის ადეკვატური სოციალური დახმარების უზრუნველყოფაა. პენსიები სოციალური ხარჯების უმსხვილესი კატეგორიაა და მთლიანი სოციალური დაცვის ხარჯების ნახევარზე მეტს შეადგენს. მსოფლიო ბანკი აცხადებს, რომ საპენსიო პროგრამა მძიმე ტვირთი იქნება ბიუჯეტისათვის მანამ, სანამ ქვეყნის საპენსიო ასაკის მოსახლეობა დამოკიდებული იქნება საბაზისო სახელმწიფო პენსიაზე. საშუალოვადიან პერსპექტივაში ბიუჯეტი სოციალური დანახარჯების ზენოლის წინაშე აღმოჩნდება და ამიტომ კერძო საპენსიო დანაზოგების გარეშე პენსიების არსებული დონეების შენარჩუნებაც კი, დროთა განმავლობაში, ქვეყანას მაღალ საბიუჯეტო ხარჯებთან მიიყვანს. თუმცა, წინასაარჩევნო დაპირების თანახმად, მთავრობა ახლო მომავალში პენსიების გაზრდას აპირებს. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, გადაწყვეტილების მიმღებებმა საპენსიო დანაზოგების სქემა უნდა შეიმუშაონ, ანდა გრძელვადიანი საპენსიო დანაზოგების შესაქმნელად ფინანსური ინსტრუმენტები უნდა განსაზღვრონ³⁰.


ამავე დროს, საერთაშორისო კვლევის თანახმად, სავალდებულო საპენსიო სისტემა შესაძლოა ამ ეტაპზე ნაადრევი იყოს საქართველოსთვის, ვინაიდან ეს მეტ რეგულირებას, ზედამხედველობას და საინვესტიციო ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობას მოითხოვს. ალტერნატიული მიდგომა, როგორც ნებაყოფლობითი/კერძო საპენსიო ფონდებია, საქართველოში უკვე არსებობს (სამი ძირითადი ფონდი), თუმცა ამ ფონდების კონტრიბუტორთა რაოდენობა 25,000-ზე ნაკლებია. ამიტომ, აუცილებელია

30 World Bank. Georgia Public Expenditure Review. Managing Expenditure Pressures for Sustainability and Growth. 2012. http://www-ds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/2012/12/20/000333037_20121220015016/Rendered/PDF/Non-AsciiFileName0.pdf

ადგილობრივი დანაზოგების ნახალისების გზების პოვნა. ერთ-ერთი ასეთი გზა საპენსიო დეპოზიტებზე ისეთი საპროცენტო განაკვეთის დაწესებაა, რომელიც, სულ ცოტა, წლიური ინფლაციის განაკვეთის ტოლი იქნება. თუმცა, ეს შესაძლოა არც ისე გამართლებული იყოს რეალობაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2011 წელს წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 8.5% იყო, ხოლო 2012 წელს - თითქმის ნულის ტოლი, რაც დეპოზიტებზე ნულოვან მოგებას გულისხმობს. ზოგადად, გრძელვადიანი დანაზოგების ნაკლებობა ადგილობრივი ფინანსური ბაზრებისადმი დაბალი ნდობის მაჩვენებელია. ეს პრობლემა რომ გადაილახოს, საქართველოს ვალუტისადმი ნდობის ასამაღლებლად გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობა და გრძელვადიანი მონეტარული პოლიტიკაა საჭირო.


2006 წლიდან, სოციალური ხარჯები და ხელფასები მთლიანი ბიუჯეტის 40%-ს არ ასცილებია. 2013 წლის ბიუჯეტი მთავრობის წინასაარჩევნო დაპირებებს ასახავს და აშკარა პრიორიტეტად სოციალურ ხარჯებს განსაზღვრავს, რაც მთლიანი ბიუჯეტის 44%-ს შეადგენს (გრაფიკი 26).

გრაფიკი 26 საბიუჯეტო ხარჯები კატეგორიების მიხედვით www.nbg.ge



სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების წარმართვის საბაზისო იარაღია. მიუხედავად ამისა, უნდა გავიაზროთ, რომ ბიუჯეტს, როგორც ეკონომიკური რესურსების აკუმულირებისა და განაწილების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მექანიზმს, გარკვეული შეზღუდვები ახასიათებს. რესურსები, რომლებსაც ბიუჯეტი მოიცავს და ანაწილებს, ყოველთვის ვერ გაიზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ზოგადად ეკონომიკა. ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ ის, რომ საქართველომ საბიუჯეტო კონსოლიდაციის პერიოდის პიკი უკვე 2008 წლამდე გაიარა, ანუ, როდესაც შემოსავლებისა და ხარჯების ზრდის ტემპმა მაქსიმუმს მიაღწია (გრაფიკი 27). ეს მოხდა საგადასახადო ადმინისტრირების როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი გაუმჯობესების ხარჯზე. ასევე, გაუმჯობესდა გამჭვირვალობის ხარისხი.


გრაფიკი 27 მშპ-სა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტემპები 2003-12 www.geostat.ge



უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკა სწრაფად განვითარდა საბიუჯეტო კონსოლიდაციის დადებითი ტენდენციის ფონზე. ამკარაა, რომ ეკონომიკური ზრდის პოზიტიური შედეგები თანაბრად ვერ გადანაწილდა ყველა სოციალურ ჯგუფზე, რაც დამახასიათებელია ყველა გარდამავალი ეკონომიკისთვის განვითარების ადრეულ ეტაპზე; საქართველოც არ არის გამონაკლისი. ეს მიჩნეული უნდა იქნეს საქართველოს წინსვლის უარყოფით გვერდით ეფექტად.

2008 წლიდან, რუსეთ-საქართველოს ომისა და უმძიმესი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, საქართველომ სწრაფად შეძლო დაწევა და გაეხსნა კიდეც საკმაოდ ბევრი ქვეყნისთვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებლის მიხედვით. ამავ დროს, სოციალური უთანასწორობა კიდეც უფრო გაღმავდა. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში უფრო პრობლემურია იმ ქვეყნებში, სადაც განვითარების ზომიერი ტემპია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ამ ეტაპზე სოციალური უთანასწორობის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ჯანდაცვის, განათლების და ინფრასტრუქტურის რადიკალური გაუმჯობესების კონტექსტში. რაც შეეხება საქართველოს, სახელმწიფომ ბიუჯეტის კონსოლიდაციაში გარკვეულ სტაბილურობას უკვე მიაღწია, განსხვავებით სოციალური პრობლემებისგან და შედეგად, შემოსავლის განაწილებაზე სოციალური მოთხოვნა არსებობს; აქედან გამომდინარე საქართველოში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ამოცანასა და სიმდიდრის თანაბარ განაწილებაზე სოციალურ მოთხოვნას შორის კოლიზიის საფრთხე არსებობს. მიგვაჩნია, რომ პასუხისმგებელმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას ეკონომიკური ზრდის შენელება სიმდიდრის განაწილების მიზნით, განსაკუთრებით როდესაც ასეთი განაწილების შედეგი მეტ-ნაკლებად უცნობია და შეიძლება არაეფექტიანი იყოს. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, ქვემოთ მოტანილი გრაფიკი საქართველოში დასაქმების დინამიკას ასახავს იმ დროს, როდესაც ეკონომიკური ზრდის ტემპი ყველაზე მაღალი იყო.

გრაფიკი 28 დასაქმების ტენდენციები საქართველოში www.geostat.ge



საქართველოში დასაქმების ზრდის თვალსაზრისით სიტუაცია საკმაოდ არასახარბიელოა. ამავე დროს, ეკონომიკური ზრდის შენელების პირობებში, რაიმე მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს ამ მხრივ არ უნდა ველოდოთ, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია ფორმალურად დასაქმებულების მონაცემი (ანუ გადასახადის გადამხდელები) არ ასახავს დასაქმებული ადამიანების მთლიან რაოდენობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სიმდიდრის გადანაწილების პროგრამები 600,000-მდე გადასახადის გადამხდელის ხარჯზე განხორციელდება, რომელთა დაახლოებით ერთი მესამედი სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული. მიგვაჩნია, რომ მთავრობამ, როგორც მინიმუმ, უნდა მოახერხოს დასაქმების ხელშემწყობი საგადასახადო კლიმატის შენარჩუნება ისე, რომ უფრო მეტმა ადამიანმა საკუთარი პრობლემების გადაჭრა დასაქმებით შეძლოს და არა სახელმწიფოსგან მიღებული დახმარებით.

მთავრობამ მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს საშინაო და საგარეო ვალის მართვასთან დაკავშირებითაც. ვალების მოცულობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ასცდეს დაწესებულ ლიმიტს, თუნდაც ეს აუცილებელი იყოს განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის და ენერჯეტიკის სფეროებში მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად. და ბოლოს, 2014 წლის ბიუჯეტის შემუშავების დროს აუცილებელი იქნება, რომ მთავრობამ თავისი წინასაარჩევნო დაპირებები პრიორიტეტებად ეფექტიანად და რეალური სიტუაციიდან გამომდინარე განსაზღვროს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ზოგადად, საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა კვლავ ხელსაყრელი რჩება: მაკროეკონომიკური ცვლილებები პოზიტიურია, ხოლო ინფლაცია შემცირებული, რაც გლობალური ფინანსური კრიზისიდან მსოფლიოს ნელი გამოსვლის პროცესის შესაბამისია. თუმცა, 2012 წელს ეკონომიკის ზრდა შენედა, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა, რაც, ნაწილობრივ, საქართველოს ბოლო არჩევნებთან დაკავშირებული გაურკვევლობით აიხსნება. ინვესტიციები მსოფლიო მასშტაბით ევროზონის კრიზისმაც შეამცირა, რამაც ასევე შეზღუდა საქართველოსთვის ხელმისაწვდომი საგარეო რესურსები.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის, ვინაიდან ისინი შეიძლება მიმართული იქნეს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, რომელთა დაფინანსებაც ადგილობრივი საბანკო სექტორის მეშვეობით შეუძლებელი იქნებოდა. მომავალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გამოვა გლობალური ეკონომიკა რეცესიიდან და რამდენად წარმატებულად გააგრძელებს და გააძლიერებს მთავრობა საქართველოს აქამდე არსებულ ეფექტიან საინვესტიციო პოლიტიკას. ამიტომ, ახლადარჩეულმა მთავრობამ უნდა დაიწყოს დაფინანსების კერძო წყაროების მობილიზების რთული ამოცანის შესრულება. საბედნიეროდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში აღიარებულია და მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს მათ მოზიდვას ინვესტიციების დაცვის ზომების განხორციელებითა და სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს შექმნით.

თავისი წინასაარჩევნო დაპირების შესასრულებლად, მთავრობამ სოციალური ხარჯები გაზარდა ყველაზე დაუცველთათვის. მთავრობა ასევე გეგმავს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობით. თუმცა, ამ გეგმის განსახორციელებლად მეტი ინვესტიციების დაბანდება ამ სექტორში საჭირო. გაზრდილ სოციალურ ვალდებულებებთან ერთად ამ გეგმის შესასრულებლად, მთავრობას შესაძლოა საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა დასჭირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დეფიციტი გაიზრდება.

მაღალი მიმდინარე ანგარიშის და ფისკალური დეფიციტის შემცირება კვლავ მთავარ მაკროეკონომიკურ გამოწვევად რჩება. რამდენიმე საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტმა მთავრობას ურჩია ფისკალური კონსოლიდაციის და სტრუქტურული რეფორმების განხორციელება,

რათა გაიზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და დაძლეული იქნეს ზემოაღნიშნული გამოწვევები. ამ რეკომენდაციას ჩვენც ვუერთდებით.

მიუხედავად მიღწეული გარკვეული წარმატებისა, საქართველომ უნდა მოახდინოს ექსპორტის პორტფელის მკვეთრი დივერსიფიკაცია და გაფართოება, რათა გაგრძელდეს ის შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ქვეყანას ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჰქონდა, მოხდეს საქართველოს ეკონომიკის ღირებულების გამყარება და მიღწეული იქნეს მეტი თანაფარდობა საკრედიტო ანგარიშში. შეიძლება - და სასურველია - სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკისა და გაუმჯობესების სტრატეგიის შესწავლა საქართველოს კონტექსტში მათი გამოყენების კუთხით. საქართველოს ექსპორტის ახალ ბაზრებზე შეღწევისათვის, მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს, რათა საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების შესაძლო ნორმალიზების დაპირებამ შეიძლება გაზარდოს ექსპორტი და შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლები, თან ამავე დროს, შეამციროს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დრამატული დეფიციტი და გაანეიტრალოს ექსპორტის ზრდაზე ევროზონის კრიზისის ნეგატიური ეფექტი.

მთავარი გამოწვევა, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის პოტენციალს ზღუდავს, არის სტანდარტების, პირუტყვის დაავადებათა კონტროლის ფიტოსანიტარიული და მცენარეთა დაცვის ზომების არარსებობა. ამ სექტორის ასაღორძინებლად მთავრობის ინიციატივებს შესაძლოა პოზიტიური შედეგი მოჰყვეს თუ საკმარისი რესურსები იქნება ამ სექტორისკენ მიმართული. მნიშვნელოვანია, რომ კომერციულ საქმიანობებში დაბანდებულმა სახელმწიფო ინვესტიციამ კერძო ინვესტიციების სტიმულირება მოახდინოს და არა განდევნა.

საქართველოში ფისკალური კონსოლიდაციის პროცესის მთავარი გამოწვევა სოციალური ხარჯების ზენოლის მართვა იქნება და ამავე დროს, მოხუცებულთათვის პენსიის, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის სოციალური დახმარების უზრუნველყოფა. პენსიები სოციალური ხარჯების უმსხვილესი კატეგორიაა და სოციალურ დაცვაზე მთლიანი ხარჯების ნახევარზე მეტს შეადგენს. მსოფლიო ბანკი აცხადებს, რომ საპენსიო პროგრამა მძიმე ტვირთი იქნება ბიუჯეტისათვის მანამ, სანამ ქვეყნის საპენსიო ასაკის მოსახლეობა დამოკიდებული იქნება საბაზისო სახელმწიფო პენსიაზე. საშუალოვადიან პერსპექტივაში ბიუჯეტი სოციალური დანახარჯების მნიშვნელოვანი ზენოლის წინაშე აღმოჩნდება და კერძო საპენსიო დანაზოგების გარეშე, პენსიების არსებული დონეების შენარჩუნებაც კი დროთა განმავლობაში მაღალ საბიუჯეტო ხარჯებთან მიიყვანს ქვეყანას. თუმცა, წინასაარჩევნო დაპირების თანახმად, მთავრობა ახლო მომავალში პენსიების გაზრდას აპირებს. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, გადაწყვეტილების მიმღებებმა საპენსიო დანაზოგების სქემა უნდა შეიმუშაონ ანდა გრძელვადიანი საპენსიო დანაზოგების შესაქმნელად ფინანსური ინსტრუმენტები განსაზღვრონ.



ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. 85/24, მეოთხე სართული, 0162 თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 32 2 207 305
e-mail: info@eprc.ge
www.eprc.ge